წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სხდომის ოქმი №5

ქ.წალენჯიხა 2018 წლის 28 თებერვალი

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე თემურ ღვინჯილია

საკრებულოს 30 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 25 დეპუტატი: დარეჯან დადიანი, მაია მიქავა, სოლომონ სარია,დალი კვარაცხელია, ცოტნე მესხია,დავით ბელქანია, მანანა ჭანია, ვალერიანე კვარაცხელია, ანზორ ძაძამია, ზურაბ სამუშია, იაგო მიქავა, კახაბერ ჯოლოხავა, დავით ფიფია, ვლადიმერ კვარაცხელია, ბაკურ სონგულია, ლევან შელია, დათა კუკავა, ბაჩუკი უბილავა, ავთანდილ გაბელია, ელგუჯა მესხია, დათა აკობია, ირაკლი ხარჩილავა, გიორგი აბულაძე.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირები, საკრებულოსა და მერიის თანამშრომლები, რეაბილიტაციისა და განვითარების საქველმოქმედო ცენტრ „თანაზიარი“-ს გამგეობის და საზოგადოების წარმომადგენლები .

სხდომა დაიწყო: 12:00 სთ.
სხდომა დასრულდა: 13: 20 სთ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი.

საკრებულოს წევრებს წარმოდგენილი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტის მიმართ შენიშვნა ან დამატება არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ დარეჯან დადიანმა მიზანშეწონილად ჩათვალა წარმოდგენილი სახით საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე (მომხრე 25 დეპუტატი; წინააღმდეგი- არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (განკარგულება N 2).

დღის წესრიგი:

1. წალენჯიხის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ.
   მერის მიერ მომხსენებელად დანიშნული პირი: თეიმურაზ მებონია, მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

2. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, საგზაო მოძრაობის დაგეგმვისა და რეგულირების წესის დადგენის შესახებ.
მერის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: გელა სალია, მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის, ზედამხედველობის განყოფილების უფროსი .

3.„საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
მერის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: რუსუდან კვარაცხელია- მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის, იურიდიული განყოფილების მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი .

4. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის N57 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
მომხსენებელი: მანანა ჭანია- საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

5.სხვადასხვა
ა) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის იანვრის თვის შესრულების შესახებ.
მერის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: -თეა სარია, მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო- საბიუჯეტო სამსახურის მოვალეობის შემსრულებელი
ბ) პეტიციების შესახებ.
მომხსენებელი : თემურ ღვინჯილია საკრებულოს თავმჯდომარე.

მოისმინეს: 1. წალენჯიხის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ.

საკითხი წარმოადგინა მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა თეიმურაზ მებონიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 25 დეპუტატი, წინააღმდეგი -არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი დადგენილება (N 10)

მოისმინეს: 2. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, საგზაო მოძრაობის დაგეგმვისა და რეგულირების წესის დადგენის შესახებ.

საკითხი, წალენჯიხის „მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, საგზაო მოძრაობის დაგეგმვისა და რეგულირების წესის დადგენის შესახებ" რომელიც შემოსულ იქნა პეტიციით, წარმოადგინა მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის, ზედამხედველობის განყოფილების უფროსმა გელა სალიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 25 დეპუტატი, წინააღმდეგი -არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი დადგენილება (N 11)

მოისმინეს: 3.„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის N57 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

საკითხი წარმოადგინა მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის, იურიდიული განყოფილების მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსმა სპეციალისტმა რუსუდან კვარაცხელიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 25 დეპუტატი, წინააღმდეგი -არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი დადგენილება (N 12) .

მოისმინეს: 4. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის N57 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

საკითხი წარმოადგინა მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ მანანა ჭანიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 25 დეპუტატი, წინააღმდეგი -არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი დადგენილება (N 13)

სხვადასხვა:

ა) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის იანვრის თვის შესრულების შესახებ.

საკითხი წარმოადგინა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა თეა სარიამ.

საკრებულოს მიერ 2018 წლის ბიუჯეტის იანვრის თვის შესრულება მიღებულიქნა ცნობად.

ბ) პეტიციის შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2017 წლის ოქტომბრის თვეში შემოსულ სხვა პეტიციებთან დაკავშირებით დამსწრე საზოგადოებას მიაწოდა შემდეგი ინფორმაცია:

პეტიციაზე-საკრებულოს წევრის ანგარიშგების სისტემის გაუმჯობესება და ანგარიშგების ფორმის დამტკიცების შესახებ რეგლამენტში ცვლილებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2015 წლის 28 ოქტომბერს მიღებულიქნა N43 დადგენილება „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერისა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრების მოწყობისა და გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ“, რაც შეეხება საკრებულოს წევრის ანგარიშგებას, საკრებულოს რეგლამენტში გაწერილია, როგორც საკრებულოს წევრის მოსახლეობასთან შეხვედრის ასევე ანგარიშის წარდგენის წევრის სავალდებულობა.

„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სახელით მოასპარეზე მაღალი სპორტული შედეგების მქონე სპორტსმენთა და მათი მწვრთნელებისათვის ფულადი ჯილდოების გადაცემის წესისა და ოდენობის განსაზღვრა“- პეტიციასთან დაკავშირებით განმარტა,რომ აღნიშნული მიზნით გარკვეული თანხები გათვალისწინებულია ა(ა)იპ „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლისგარეშე კომპლექსური სასპორტო საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრისა“ და ა(ა)იპ „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის ცენტრის“ 2018 წლის საფინანსო გეგმაში, მაგრამ არა იმ ოდენობით, რაც საკმარისი იქნება პეტიციის ავტორთა მიერ შემოთავაზებული წესით წახალისების დასაფინანსებლად, რაც გამოწვეულია მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მწირი მოცულობით.

რაც შეეხება წალენჯიხაში ტაბიძისა და კვარაცხელიას ქუჩების კვეთაში სიჩქარის შემზღუდავი ბარიერის მოწყობის და ფეხბურთის სტადიონთან წრიული მოძრაობის

საკითხის გადაწყვეტას, აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქალაქეთა გადაადგილების უსაფრთხოების და სატრანსპრტო მოძრაობის რეგულირების უზრუნველყოფა წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს საქმიანობის მნიშვნელოვან სფეროს, ამ მიმართულებით სისტემატიურად მიმდინარეობს მუშაობა. რადგან აღნიშნული გზის გარკვეული მონაკვეთი მიეკუთვნება სახელმწიფო დანიშნულების გზებს,წერილი გაგზავნილ იქნა საავტომობილო გზების დეპარტამენტში. მოხდა დეპარტამენტიდან სათანადო რეაგირება, კერძოდ დაპროექტდა და უახლოეს პერიოდში რიგ ადგილებში მოეწყობა სიჩქარის შემზღუდავი ბარიერები და სათანადო საგზაო ნიშნები, ხოლო იმ ქუჩებზე, რომლებზეც ადგილობრივი მნიშვნელობის გზები გადის,საგზაო ნიშნების განთავსება მოხდება „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე საგზაო მოძრაობის ორგანიზების წესის“ შესაბამისად.

საზოგადოების წარმომადგენელმა კახა კვარაცხელიამ საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა რომ, მიუხედავად ტაბიძის ქუჩის მცხოვრებლების მერიისადმი არაერთი მიმართვისა და მათი მხრიდან დაპირებისა, ტაბიძე -კვარაცხელიას ქუჩის გადაკვეთაზე სიჩქარის შემზღუდავი ბარიერის მოწყობის საკითხი დღემდე მოუგვარებელია და კარგი იქნება თუ ამ შემთხვევაშიც ანალოგიური არ განმეორდება.

საკრებულოს წევრმა ელგუჯა მესხიამ ისაუბრა ფიროსმანის ქუჩაზე ავტომობილების მაღალი სიჩაქარით გადაადგილების გამო შექმნილ საავარიო სიტუაციებზე და ამ მონაკვეთში „მწოლიარე პოლიციელის“ მოწყობის აუცილებლობაზე.

საკრებულოს წევრმა დალი კვარაცხელიამ ისაუბრა ტრაგედიაზე რომელიც დატრიალდა ჯგალის ადმინისტრაცულ ერთეულში. მან განმარტა რომ ჯგალის მოსახლეობა ითხოვს მოცემულ ტერიტორიაზე ლამპიონების მოწყობას. (ფუისქური-ლეკაკულეს უბანი-ჯგალის ცენტრი, რომელიც მოიცავს 2 კმ.).

მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ გიორგი ლუკავამ გაიზიარა ყველა განმცხადებლის პრობლემები და მერიის მხრიდან გამოთქვა თანადგომა საზოგადოების მხრიდან წამოჭრილი საკითხების დადებითად გადაწყვეტის საქმეში.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

სხდომის თავმჯდომარე თემურ ღვინჯილია